საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN7

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

06 აგვისტო 2025 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ომარი ჯიხვაშვილი, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალი ისაკაძე, 5.იზა მაგრაქველიძე; 6. გიორგი ბარათაშვილი ; 7. ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე; ნატალია ასათიანი, დავით ცხადაძე; ნინო ჩხიკვაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 7 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად დაეწერა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს 2025 წლის 14 ივლისის N 01/495 წერილი,რომელიც

ეხება სოფელ ოდილაურის მეცხრე ქუჩისათვის სახელის მინიჭებას. მომხსენებლის განმარტებით ,აღნიშნული საკითხი (ინიციატივა) საკრებულოში განსახილვევლად შემოვიდა 2025 წლის 27 იანვარს, რომელიც დაეწერა იურიდიულ საკითხთა კომისიას. კომისიამ გაიარა ყველა პროცედურა, რაც დადგენილია ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით.
ვინაიდან სახელმწიფო ან საზოგადო პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ, გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საკრებულომ.

2025 წლის 05 მარტს საკრებულოს მიერ იქნა მიღებული მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება (განკარგულება N გ.29.29250644) **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ"**, ვინაიდან განკარგულებაში აღნიშნული კოორდინატები ეკუთვნის სოფელ ოდილაურს(სოფელ კვახჭირში შემავალი თემი),ამიტომ საჭიროა დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანა.
მომხსენებელმა განუმარტა კომისიის წევრებს, რომ უნდა გაუქმდეს 05 მარტის განკარგულება N გ.29.29250644 **,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ" და** მიღებულ იქნას ახალი **განკარგულება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ".**

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭება.

მუხლი 2. ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს საკრებულოს მიერ 2025 წლის 05 მარტს მიღებული გადაწყვეტილება (განკარგულება Nგ.29.29250644);

მუხლი 3. საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ" წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: